

მთავარია, იყოს კონსენსუსი

A3



არის თუ არა უცხოური გრანტები ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა?

A3



გამოსათხოვარი

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 21 ივლისი, 2005 წელი. №164 (1024)

ფასი 50 თეთრი

## ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმება თუ სპეცოპერაცია?

*გუშინ, ღამის ათ საათზე, თბილისში, ვაშლიჯვრის 11 კორპუსში ჩატარებული სპეცოპერაცია მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ყურადღების ცენტრში მოხვდა. 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლისას ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის, 27 წლის ვლადიმერ არუთინიანის აყვანის ოპერაცია შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა ერთ საათში დაასრულა.*



ინტერპრესნიუსი

*ასე გამოიყვანა სპეცრაზმმა სამალავიდან ვლადიმერ არუთინიანი.*

გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ვოვა არუთინიანმა მასთან სახლში მისულ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც დაიღუპა შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე. მძიმედ დაიჭრა თავად არუთინიანიც, დაუზუსტებელი ინფორმაციით - მხარში, თუმცა, მან მაინც მოახერხა მისი საცხოვრებელი კორპუსის სიახლოვეს მდებარე ბაღში დამალვა. არუთინიანსა და სამართალდამცველებს შორის მომხდარი შეტაკებიდან რამდენიმე წუთში ვაშლიჯვრის დასახლება შსს-ს დანაყოფებით გაივსო. რამდენიმეწუთიანი ძებნის შემდეგ, სპეცდანიშნულების რაზმმა არუთინიანი დააკავა. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა შსს-ში წაიყვანეს არუთინიანის დედა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ, გვიან ღამით, დაკითხეს კიდეც. **"სამი დღეა არ დამინახავს,"** - სახლიდან გამოყვანისას შვილის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა არუთინიანის დედამ.

ამომწურავი ინფორმაცია საზოგადოებამ ვერც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შუაღამისას გამართული ბრიფინგიდან მიიღო. **"დაკავებულია სავარაუდო ეჭვმიტანილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე არუთინიანი. ამ თვეების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი სამუშაო ჩაატარა, მოვიპოვეთ ფოტო, მივიღეთ ინფორმაცია სავარაუდო ეჭვმიტანილის შესახებ, საქმეზე სამი პოლიციელი გავიდა და, სამწუხაროდ, ოპერაცია მსხვერპლით დასრულდა. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, გამოძიება გრძელდება, დეტალურად შევისწავლით ყველაფერს და მასმედიას ნებისმიერ ინფორმაციას დაუბრკოლებლად მივაწვდით,"** - ასეთი მოკლე განცხადება გააკეთა ვანო მერაბიშვილმა. შს მინისტრის გარდა, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არც ერთ მაღალჩინოსან სამართალდამცველს არ გაუკეთებია. მუშაობს ჯგუფი და დაადგენენ ყველაფერს - ასეთი გახლდათ მათი მოკლე პასუხები.

სპეცოპერაციამდე მომხდარ ინციდენტს - არუთინიანსა და პოლიციელებს შორის მომხდარ კონფლიქტს უშუალო თვითმხილველი არ ჰყავს. არუთინიანის მეზობლებმა გაიგეს მხოლოდ სროლის ხმა და დაინახეს შეიარაღებული რამდენიმე პირი, სავარაუდოდ, პოლიციელები.

მართალია, სამართალდამცველები მომხდართან დაკავშირებით დეტალურ საუბარს თავს არიდებენ, მაგრამ ჩატარებული მოულოდნელი სპეცოპერაციის შესახებ უკვე გავრცელდა ერთი ვერსია. ამ ვერსიის მიხედვით, სპეცოპერაცია თავად სამართალდამცველებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ შსს-მ გამოაქვეყნა ფოტოები, რომელზეც გამოსახული იყო ხელყუმბარის სავარაუდო მსროლელი. დაახლოებით 25-35 წლამდე ასაკის, 175-180 სმ სიმაღლის შავგრემანი მამაკაცი. მოქალაქეს, რომელიც გამოძიებას აღნიშნული პიროვნების იდენტიფიკაციაში დაეხმარებოდა, სამინისტრო 150 ათასი ლარს ჰპირდებოდა. გარვცელებული ინფორმაციით, შსს-ს ცხელ ხაზზე შევიდა არა ერთი ოპერატიული შეტყობინება სავარაუდო ეჭვმიტანილის შესახებ. სამართალდამცველებმა ყველა შესული ინფორმაციის გადამოწმება დაიწყეს. გუშინ ვაშლიჯვარში შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურის თანამშრომელთა სამკაციანი ჯგუფი მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესამოწმებლად გავიდა. ამ ვერსიის მიხედვით, ძალოვანებს ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია დაგეგმილი არ ჰქონიათ. არუთინიანთან სახლში მისულ რამდენიმე პოლიციელს მხოლოდ მისი პიროვნების შემოწმება ჰქონდათ განზრახული. მასშტაბური ოპერაცია კი მას შემდეგ დაიწყო, რაც არუთინიანმა ცეცხლი გახსნა და ცოცხლად დარჩენილმა პოლიციელებმა მომხდარი ინციდენტის შესახებ პატრულს აცნობეს.

რამდენად რეალურია გავრცელებული ვერსია, მოგვიანებით დადგინდება, თუმცა, რეალობასთან რომ ახლოსაა, ეს შს მინისტრმა თითქმის დაადასტურა. და თუ ეს ვერსია სწორია, აუცილებლად აღსანიშნავია შსს-ს ქვედანაყოფების ძალზე სწრაფი მობილიზება...

*24 საათი*

## სანაპირო დაცვის იუბილე ფოთში

ქეთინო ჯაკობია

*ფოთიდან*

სახელდახელო კარვებში განთავსებული სამანევრო ჯგუფიდან სოლიდურ ინფრასტრუქტურამდე, სათვალთვალო პოსტები ანაკლიიდან თურქეთის საზღვრამდე, ბათუმისა და ფოთის ბაზები, 15 ერთეული მცურავი საშუალება - ასეთია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის განვლილი შვიდწლიანი გზა.

19 ივლისს ფოთში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე დამსწრეთაგან ბევრს გაახსენდა 1998 წლის 18 ივლისი - დღე, როცა უკრაინელების ნაჩუქარი პირველი და იმ დროისათვის ერთადერთი კატარღა საზღვრის დასაცავად სიმბოლურად გავიდა ღია ზღვაში.

**"მაშინ, ფაქტობრივად, დანგრეული იყო მთელი ინფრასტრუქტურა. არ გვყავდა სათანადოდ მომზადებული კადრები. ჩვენი მეგობარი ქვეყნებისა და, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, მოხერხდა, რომ საქართველოს დღეს სანაპირო დაცვა ჰყავს,"** - ამბობს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე.

**"დღეს ჩვენ შეგვწევს ძალა, გავაკონტროლოთ საქართველოს ტერიტორიული წყლები,"** - აცხადებს სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს უფროსი, მე-2 რანგის კაპიტანი კობა ბოჭორიშვილი.

**"სერიოზულად მომზადებული პირადი შემადგენლობა, ახალი ინფრასტრუქტურა იძლევა იმის წინაპირობას, რომ სანაპირო დაცვა კიდევ უფრო ძლიერ სამართალდამცავ სტრუქტურად ჩამოყალიბდება,"** - ეს შსს-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ დავით გულუას სიტყვებია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოპოზიციის საყვედურები ხელისუფლებას

ზურაბ აფხაზავა

*სოხუმიდან*

აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმმა, რომელიც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს, განცხადება გაავრცელა, სადაც პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის მიმართ ოპოზიციის წინადადებებია ჩამოყალიბებული.

ყველაზე მეტად ოპოზიციას ხელისუფლების ის გადაწყვეტილება აშფოთებს, რომელიც სახელმწიფო ქონების უმეტესი ნაწილის უცხოელი ინვესტორებისთვის მიყიდვას გულისხმობს.

ოპოზიცია ეთანხმება იმას, რომ **"ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად"** უმოქმედო საწარმოების გაყიდვა აუცილებელია. თუმცა, უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ **"ხელისუფლებას არაფერი უთქვამს, სახელმწიფო ქონების გასხვისების პირობებში თუ რა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმებით აპირებს იგი მოქალაქეების ინტერესებისა და სამამულო კაპიტალის დაცვას."**

აღნიშნული ნორმების არარსებობას უარყოფითი შედეგი მოჰყვება - უცხოელი ინვესტორების ხელში ის ეკონომიკური ბერკეტები აღმოჩნდება, რომლებიც სახელმწიფოს არსებობას უზრუნველყოფს. მეორე მხრივ კი, შეშფოთების საბაბია ის, რომ "მესამე პირების" მეშვეობით სახელმწიფო ობიექტები საქართველოს მოქალაქეების საკუთრება გახდება.

ოპოზიციის შეწუხებას იწვევს ასევე რამდენიმე ხნის წინ გახმოვანებული ფაქტი, რომ არის პერსპექტივა, აფხაზეთში არსებული ნავთობის საბადოები ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა დაამუშაონ. **"ჩვენთვის კვლავ უცნობია, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება აღნიშნული პროექტების რეალიზებას და როგორი პოლიტიკური, ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები შეიძლება ამან მოგვიტანოს,"** - ნათქვამია განცხადებაში.

უკმაყოფილების საგანია ასევე ის, რომ მსგავს გადაწყვეტილებებს ხელისუფლება ერთპიროვნულად იღებს, არ ათანხმებს მათ საზოგადოებასთან და **"მოსახლეობას არ აწვდის დეტალურ ინფორმაციას, ანალიზს და პროფესიონალურ ექსპერტიზას."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## რკინიგზის გახსნა ახლო პერსპექტივაა

სოხუმში დასრულდა სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელმაც, სოჭსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღო. შემაჯამებელ ოქმს რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა რკინიგზის ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხაილ აკულოვმა, აფხაზეთის მხრიდან - ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ, საქართველოს მხრიდან - სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. რუსული საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმის" ცნობით, მხარეებმა შეათანხმეს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შემსწავლელ სპეციალისტთა სამუშაო ბრიგადების რაოდენობა, დაადგინეს დისლოკაციის ადგილები, ჩასატარებელი სამუშაოების, აგრეთვე, ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრთა სატრანსპორტო მომსახურების, კავშირგაბმულობის, კვებისა და სამედიცინო მომსახურების გრაფიკი.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | 21/07 | 22 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ტყიბული | 35 | 36 |
| სოხუმი | 34 | 35 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 28 | 29 |
| ზუგდიდი | 37 | 38 |
| ახმეტა | 35 | 36 |
| გაგრა | 32 | 32 |
| სამტრედია | 37 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8136 |
| ევრო | 2.1910 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1590 |
| რუბლი | 0.0632 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

## უშბის მორიგი მსხვერპლი

გიგა გურასაშვილი

*კავკასიონის ულამაზესი და ურთულესი მწვერვალის უშბის დაპყრობათა 117-წლიან ისტორიას კიდევ ერთი ტრაგედია მიემატა. სამხრეთ უშბაზე (4710მ.) "მიშლაევის" მარშრუტზე, დაახლოებით 3900 მეტრ სიმაღლეზე, ქართულ-ჰოლანდიური ექსპედიციის ორი ქართველი წევრი - მერაბ ხაბაზი და ზალიკო ქიქოძე დაიღუპნენ. როდესაც სასაზღვრო ჯარების შვეულმფრენმა ალექსეევკის აეროდრომზე უშბაზე დაღუპული ცნობილი ქართველი მთამსვლელების მერაბ ხაბაზისა და ზალიკო ქიქოძის ცხედრები ჩამოასვენა, სამაშველო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ბენო ქაშაკაშვილმა სინანულით აღნიშნა, უამინდობა რომ არა, რა სჭირდათ საშველი, როდესაც მერაბს და ზალიკოს სხვათა გადასარჩენად არაერთხელ ჩაუგდიათ თავი საფრთხეში.*



*ზალიკო ქიქოძე*



*მერაბ ხაბაზი*

ორი ჰოლანდიელი და სამი ქართველი მთამსვლელის - გელა ოთარაშვილის, მერაბ ხაბაზისა და ზალიკო ქიქოძის უშბაზე დაკარგვის ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა, გუშინ კი...

ქართულ-ჰოლანდიური ექსპედიციის ორი ჰოლანდიელი მთამსვლელი მწვერვალიდან ორი დღის წინათ დაბრუნდა. ექსპედიციის მესამე ქართველი წევრი გელა ოთარაშვილი კი, როგორც შევიტყვეთ, ჯანმრთელი და უვნებელი უკვე შინაა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით დაკარგული მეგობრებით გამოწვეულ დიდ მწუხარებას.

მერაბ ხაბაზისა და ზალიკო ქიქოძის დაღუპვის კონკრეტულ მიზეზებზე საუბარი, ჯერჯერობით, რთულია. ერთი ისაა ცნობილი, რომ მთამსვლელებს ამინდმა არ შეუწყო ხელი, თუმცა შეცდომასაც არ გამორიცხავენ.

უშბაზე არაერთი ტრაგედია დატრიალებულა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი 1984 წლის 28 თებერვალს, ზამთრის უშბიდან დაშვება გახლდათ, როდესაც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები: გიორგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე, გია თუშური და ირაკლი გელდიაშვილი უცაბედად მოწყვეტილმა ზვავმა იმსხვერპლა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მათი სახელები არავის დავიწყებია. არ დაავიწყდებათ მერაბ ხაბაზი და ზალიკო ქიქოძეც.

## "მადნეულს", შესაძლოა, 42 მილიონი ლარი ჩამოაწერონ

*სს "მადნეულს", შესაძლოა, სახელმწიფოს მიმართ წლების მანძილზე დაგროვილი დავალიანება ჩამოეწეროს. ეს ინფორმაცია მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკური განვითარების მინისტრისგან ირაკლი ჩოგოვაძისგან გახდა ცნობილი. ჩოგოვაძე ამბობს, რომ დავალიანების არსებობა "მადნეულის" პრივატიზაციის პროცესს ხელს უშლის.*

მარიამ ჯაჭვაძე

შეგახსენებთ, რომ სს "მადნეულის" პრივატიზაციის პროცესი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მაისში დაიწყო. ამ დროისთვის საწარმოთი დაინტერესება როგორც ქართულმა, ისე უცხოურმა კომპანიებმა გამოთქვეს. ივნისში სამინისტრომ 21 მათგანისგან "მადნეულის" შესყიდვაზე ოფიციალური განაცხადიც მიიღო. საწარმოს პრივატიზაციის პროცესი მას შემდეგ დასრულდება, როგორც კი მთავრობა ხსენებული დავალიანების საკითხს მოაგვარებს. ეკონომიკური განვითარების მინისტრი დარწმუნებულია, რომ "საგადასახადო დავა კომპანიის სასარგებლოდ გადაწყდება".

წლების მანძილზე "მადნეულის" მიერ დაგროვილი საგადასახადო თუ საბიუჯეტო დავალიანების მოცულობამ, როგორც ირაკლი ჩოგოვაძისგან გახდა ცნობილი, 42 მილიონ ლარს გადააჭარბა. **"ეს სააქციო საზოგადოება სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობითაა შექმნილი. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ დავალიანების პრობლემა საბოლოოდ გადაწყდეს,"** - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა. მისივე თქმით, ამ საკითხზე მთავრობის გუშინდელ სხდომაზეც იმსჯელეს, თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კიდევ ერთხელ ბოლონიის პროცესის შესახებ

ემზარ ჯგერენაია

ბოლო დროს ქართულ საზოგადოებაში ყველაზე მწვავე დისკუსიას განათლების რეფორმა იწვევს, და სრულიად სამართლიანადაც. საქართველოს მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება საქართველოს განათლების სისტემა, რა პრინციპებსა და ფილოსოფიას დაეყრდნობა იგი, რადგან სწორედ უმაღლესი განათლება წარმოადგენს ადამიანის სოციალიზაციის, პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორს. განათლების სფეროში დაშვებულმა შეცდომამ, მოუფიქრებელმა ნაბიჯმა შესაძლოა მნიშვნელოვანწილად განსაზღვროს ჩვენი ქვეყნის ბედი.

2005 წ. 19 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ა. ლომაიამ ბერგენში (ნორვეგია) ხელი მოაწერა "ბოლონიის დეკლარაციას" (ბოლონიის დეკლარაცია, ბოლონია 1999 წ. 19 ივნისი). ბოლონიის დეკლარაციას წინ უძღოდა უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998), მოგვიანებით შეიქმნა პრაღისა და ბერლინის კომუნიკეები, გრაცისა და სალამანკის დოკუმენტები, სტუდენტთა გიოტებორგის დეკლარაცია (აღნიშნული დოკუმენტების კრებული მომზადდა და გამოიცა ევრაზიის ფონდის მხარდაჭერით. დოკუმენტების მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვებგვრდებზე: www.mes.gov.ge, www.civilin.org, www.tsu.edu.ge). ბოლონიის დეკლარაციასთან საქართველოს მიერთებამ ქართულ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში უკვე გამოიწვია საინტერესო დებატები. ეს სასიხარულო ფაქტია, რადგან მხოლოდ დისკუსიის მეშვეობითაა შესაძლებელი ერთსა და იმავე მოვლენაზე განსხვავებული აზრის გამოხატვა და საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაც. წერილის მიზანს ამ დისკუსიაში ჩაბმა და ზოგიერთი საკითხის გაშლა წარმოადგენს.

რატომ გახდა აუცილებელი ევროპის "ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განზომილების" გაერთიანება?

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია სრულყოფილი ვერ იქნება, თუკი არ შეიქმნება ევროპის ქვეყნების ურთიერთთავსებადი განათლების სისტმა. ურთიერთთავსებადმა განათლების სისტემამ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს ევროპის ქვეყნების მოქალაქის დასაქმება საერთო ევროპულ შრომის ბაზარზე და, მეორე მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ევროპული განათლების სიტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

გაერთიანებულ ევროპას, ევროკავშირის ქვეყნებს დიდ პრობლემებს უქმნიდა კვალიფიკაციისა და სწავლების სისტემის არაერთგავროვნება და მიღებული განათლების ურთიერთარაღიარება. მაგ., გერმანიაში განსწავლული სპეციალისტი სათანადო, არცთუ იოლი პროცედურის გაუვლელად, ვერ მიიღებდა სამუშაოს საკუთარი სპეციალობით საფრანგეთში, და პირიქით, ფრანგი სპეციალისტი ვერ შეძლებდა დიპლომის ცნობის მომქანცველი პროცედურის გარეშე გერმანიაში მუშაობას. ბოლონიის პროცესის წინმსწრებმა დოკუმენტმა, ლისაბონის კონვენციამ, ეს პრობლემა სამართლებლივად მოაგვარა, მაგრამ სტუნეტებისა და პედაგოგების რელური მობილობის უზრუნველყოფა კვლავ პრობლემად დარჩა.

საქართველოს მიერთება ბოლონიის პროცესთთან ახალ შესაძლებლობას მისცემს ქართველ სტუდენტებსა და სპეციალისტებს, მაგრამ ამისათვის საჭიროა განათლების სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმის გატარება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების, კრედიტების, სამ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) დაფუძნებული სისტემების შემოღებას, მობილობის ხელშეწყობას, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში ევროპის ქვეყნების თანამშრომლობასა და უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული განზომილების დანერგვას. ყველა ამ პარამეტრის შესაბამისად საქართველოს უმაღლესი განათლების გარდაქმნა მეტად შრომატევადი საქმეა, მითუმეტეს, რომ ბოლონიის დეკლარაციით ეს პროცესი საქართველოში 2010 წლეს უნდა დასრულდეს.

ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული ყველა პროცედურის შესრულება პრობლემას წარმოადგენს თვით ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის. ყველა ევროპულ უნივერსიტეტში ჯერ არ არის შემოღებული კრდიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), მათ შორის არის ბელგიის, გერმანიის, მაკედონიის და ჩეხეთის ზოგიერთი უნივერსიტეტი. ასე, რომ საქართველოს უმაღლესი სკოლების სასტარტო პირობები, ბოლონიის დეკლარაციით გათვალისწინებული პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით, თითქმის თანაბარია ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

ქართველი სტუდენტებისა და უნივერსიტეტების პროფესორებისათვის განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება "მობილობის," "მობილური სტუდენტის", "მობილური სპეციალისტის" კონცეფცია, რომელიც ბოლონიის პროცესის ყველა დოკუმენტში განსაკუთრებულადაა აღნიშნული. "მობილობა" შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს სწავლა გააგრძელოს ევროპის უნივერსიტეტებში, ისე რომ არ შეექმნას მშობლიურ უნივერსიტეტებში უკვე გავლილი კურსების აღიარების პრობლემა. მობილობა, უფრო სწორად, "მობილობის ხელშეწყობა" ბოლონიის დეკლარაციის თანახმად, გულისხმობს: ა) "სტუდენტებისათვის სწავლებისა და წვრთვნის შესაძლებლობასა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობას და ბ) მასწავლებლების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ევროპულ სივრცეში კვლევებზე, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და წვრთვნაზე დახარჯული პერიოდის აღიარებასა და ცნობას, მათთვის კანონით დადგენილი უფლებების დაცვით." ყოფით ენაზე ეს ნიშნავს, რომ ქართველი სტუდენტი დაუბრკოლებლად შეძლებს სწავლების ნებისმიერ ეტაპზე სწავლა გააგრძელოს ევროპის უნივერსიტეტებში, ხოლო უმაღლესი სკოლის ქართველ პედაგოგს მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარი სასწავლო გეგმით დააინტერსოს ევროპის უნივერსიტეტები და წაიკითხოს ლექციების კურსი. ამას შედეგად მოჰყვება ქართველი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივება. საბოლოო ჯამში, თუკი საქართველო შეძლებს ბოლონიის დეკლარაციით გათვალისწინებული ყველა პროცედურის შერულებას, საქართველოში დიპლომირებული სპეციალისტი კონკურენციის პირობებში საკუთარი კვალიფიკაციით იმუშავებს ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. გარდა ამისა, ბოლონიის პროცესი შესაძლებლობას მოგვცემს, შევქმნათ ევროპელებისათვის მიმზიდველი განათლების სისტემა თვით საქართველოში, რაც არა მარტო დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ბევრ ევროპელს გააცნობს ქართულ კულტურას.

ერთი სიტყვით, ბოლონიის პროცესი და ბოლონიის დეკლარაცია ყველა მასში მონაწილე ქვეყანას საინტერესო პერსპექტივას სთავაზობს.

ყველა სიახლეს თან ახლავს სიძნელეები. განსაკუთრებით პრობლემურია რეფორმების გატარება განათლების სფეროში. რთულია წლობით ჩამოყალიბებული აკადემიური, საუნივერსიტეტო ტრადიციის გარდაქმნა, მითუმეტეს, როცა ინფორმაცია განათლების სფეროში მიმდინრე რეფორმების შესახებ, ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგები არ არის. ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში განათლების ევროპულ სისტემაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაცია იდენტობის, ტარდიციებისა და სამუშაოს დაკარგვის შიშს აღძრავს. ბოლონიის დეკლარაცია საგანგებოდ აღნიშნავს: "ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ - ინსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში, კულტურების, ენების, ეროვნული განათლების სისტემების მრავალფეროვნებისა და უნივერსიტეტთა ავტონომიის სრული პატივისცემით მივაღწევთ დასახულ მიზანს - განვახორციელებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონსოლიდაციას."

პროფეორ-მასწავლებლთა შემცირება, რომელიც ახლა მიმდინარეობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, არამც და არამც არ უკავშირდება ბოლონიის დეკლარაციასთან საქართველოს მიერთებას. თავის დროზე ევროპულ ყაიდაზე შექმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინსტიტუციონალური განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. "შტატების გაბერვის" საბჭოთა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ დღეს უმაღლესი განათლების სისტემაში ბევრად მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს. ვფიქრობთ, რეფორმის მოწინააღმდეგეები და მომხრენიც ამ მოსაზრებას თანაბრად დაეთანხმებიან.

დაბოლოს, ქართულმა საზოგადოებამ უნდა ისწავლოს პროფანულისა და საკრალურის, ანუ ყოველდღიური მოვლენებისა და საგნების გარჩევა წმინდა-საკრალური საგნებისა და მოვლენებისაგან. უნივერსიტეტი ქურუმთა თავყრილობა არ არის, ის არც ეკლესიაა, რომ რეფორმა სიწმინდის შეურაცხყოფასთან გავაიგივოთ.

ბოლონიის პროცესი გამოწვევაა საქართველოსათვის. ის ერთგვარი გამოცდაა იმისა, თუ რამდენად შევძლებთ მხარი ავუწყოთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და შევქმნათ ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობასთან თავსებადი თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემა.

სტატია მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევრაზიის ფონდის მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრების მეშვეობით. მასში გამოთქმული თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევრაზიის ფონდის შეხედულებებს.

# "მადნეულს", შესაძლოა, 42 მილიონი ლარი ჩამოაწერონ

პირველი გვერდიდან

."მადნეულისთვის" ვალის ჩამოწერის თემას მთავრობის მომავალ სხდომაზე კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან. ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ირწმუნება, რომ ამ საწარმოსთვის ვალის ჩამოწერა აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, "მადნეულის" პრივატიზაციის პროცესი შესაძლოა გართულდეს. **"დავალიანების გამო "მადნეულის", როგორც საპრივატიზაციო ობიექტის, გასაყიდი ფასი მცირდება,"** - აღნიშნა ჩოგოვაძემ.

ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი დავალიანების დიდი ნაწილი, როგორც "მადნეულის" კორპორატიული დირექტორი აკაკი ჩარგელიშვილი ირწმუნებოდა, გასულ წლებში საწარმოს ძველი დირექტორის დროს არასწორად დარიცხულ საგადასახადო ვალდებულებაზე მოდის, რომლის გადახდასაც, მისივე თქმით, საწარმო არ აპირებს.

42 მილიონის გარდა, 30 მილიონ ლარს აღემატება სხვადასხვა კომპანიებსა თუ ორგანიზაციებზე "მადნეულის" მიერ გადაუხდელი დავალიანება

რამდენიმე დეტალი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ: პირველად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შარშანდელი წელი "მადნეულმა" მოგებით დაასრულა, რომლის მოცულობამ 4 მილიონ ლარს ოდნავ გადააჭარბა. წინა წლებთან შედარებით, 2004 წელს საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობა თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. 2003 წელთან შედარებით, საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა შარშან ზუსტად ორჯერ შემცირდა.

საწარმოს მცირე დებიტორული დავალიანებაც გააჩნია, რომლის მოცულობა 5 მილიონ ლარს აღწევს. საწარმოს ეფექტურად მუშაობისათვის და მისი სრული დატვირთვისათვის, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, 50-დან 100 მილიონ აშშ დოლარამდეა საჭირო. იმ დროს ალექსიშვილი ამბობდა, რომ 40 მილიონი აშშ დოლარია ის მინიმუმი, რაც სახელმწიფომ "მადნეულის" პრივატიზაციიდან შეიძლება მიიღოს.

ამჯერად სახელმწიფო საკუთრებაში "მადნეულის" აქციების 97.25 პროცენტია. დანარჩენს კი საწარმოს 2000-კაციანი კოლექტივი ფლობს, რომელთა საშუალო ხელფასი 300-დან 400 ლარამდე მერყეობს.

# საქართველოში იურიდიული კომპანია "დი-ელ-ეი პაიპერი" შემოვიდა

1 ივლისიდან საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მოღვაწე, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საკონსულტაციო კომპანიის "ერნსტ ენდ იანგის" თბილისის ოფისს გამოეყო იურიდიული სამსახური და გლობალურ იურიდიულ ფირმას "დი-ელ-ეი პაიპერ რადნიკ გრეი ქერის" შეუერთდა. ეს პროცესი თბილისის პარალელურად მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და კიევის ოფისებშიც განხორციელდა, რაც ნიშნავს "ერნსტ ენდ იანგის" მიერ იურიდიული მომსახურების, როგორც გლობალური მომსახურების ხაზის შეწყვეტას.

უნდა აღინიშნოს, რომ "დი-ელ-ეი პაიპერთან" გაერთიანება დსთ-ს სივრცის იურიდიული ბაზრის ისტორიაში ყველაზე მსხვილ გარიგებას წარმოადგენს და საქართველოში პირველი მსხვილი საერთაშორისო იურიდიული ფირმის შემოსვლას ნიშნავს.

"დი-ელ-ეი პაიპერი" წარმოადგენს გლობალურ იურიდიულ ფირმას, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიისა და ევროპის 20 ქვეყანაში აქვს 53 ოფისი და რომლის იურისტთა რიცხვი 2,900-ს აღემატება. იგი შეიქმნა სამი წამყვანი ამერიკული და ბრიტანული იურიდიული ფირმის - "დი-ელ-ეი"-ს, "პაიპერ რადნიკისა" და "გრეი ქერის" ისტორიული ტრანსატლანტიკური შერწყმის შედეგად. გაერთიანებული ფირმა ზომისა და საბაზრო წილის მიხედვით შედის გლობალურ იურიდიულ ფირმათა პირველ სამეულში და უნიკალურია საერთაშორისო იურიდიულ ფირმებს შორის ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს იურისტთა თანაბარი განაწილების თვალსაზრისით - 1,350 იურისტზე მეტია როგორც აშშ-ში, ასევე ევროპასა და აზიაში.

ექსპერტთა განმარტებით, ის ფაქტი, რომ უმსხვილესი გლობალური იურიდიული ფირმა საქართველოში წელს შემოვიდა, ნიშნადობლივი მოვლენაა იმ რეალობის გათვალისწინებით, როდესაც საქართველოში დინამიურად მიმდინარეობს პრივატიზაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესები.

*24 საათი*

# ბაღ-ბოსტნებში შეპარულა წყალი

*"თბილწყალკანალის" თანამშრომლებსა და დიღმის მოსახლეობას შორის გუშინდელი შელაპარაკება მუშტი-კრივში არ გადაზრდილა. ადგილობრივი მცხოვრებნი სასმელი წყლის უკანონოდ გაყვანილ მილებს ძნელად, მაგრამ მაინც შეელიენ. "თბილწყალკანალმა" წყალმომარაგების ქსელის უკანონო განშტოებების ჩაჭრა წლევანდელ ზაფხულსაც დაიწყო და გუშინ წყლის ქურდობაში დიღმის მოსახლეობა გამოიჭირა. დიღმელები სასმელი წყლით საკუთარ ბაღ-ბოსტნებს რწყავდნენ.*

ნანა ქადაგიშვილი

"თბილწყალკანალის" ინფორმაციით, დედაქალაქს წელიწადში მიეწოდება 534 მილიონი კუბური მეტრი წყალი, რისი 42 პროცენტიც უგზო-უკვლოდ იკარგება. ამას მხოლოდ წყალსადენის ავარიულობას ვერ დავაბრალებთ. სასმელი წყლის საკმაოდ დიდი პროცენტი გაზაფხულ-ზაფხულობით ბაღ-ბოსტნების, ეზოების მოსარწყავად გამოიყენება. ამას ემატება, საცხოვრებელ სახლებში წყალგაყვანილობის ავარიული სისტემები და, საბოლოოდ, 42-პროცენტიან დანაკარგს ვიღებთ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ დანაკარგების დიდი წილი მოდის იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობას ბაღ-ბოსტნები აქვს გაშენებული. მაგალითად, ლოტკინის გორაზე, ე.წ ზღვის უბნის რეზერვუარზე იმდენი განშტოება იყო მიერთებული, რომ მათ ჩაჭრას "წყალკანალმა" ორი დღე მოანდომა. იგივე ითქმის დიღომზე, სადაც სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ყოფილი საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე გაშენებული ბოსტნები წყალსადენზე ფარულად მიერთებული მილებიდან ირწყვება. კორპუსების მობინადრეები კი უწყლობას უჩივიან, რადგან სასმელი წყალი მრავალსართულიან კორპუსებს აღარ ჰყოფნის. ამ რაიონში მოსახლეობას წყალი ისედაც "მწარე გრაფიკით" მიეწოდება და ისიც ბაღ-ბოსტნების მოსარწყავად იხარჯება.

როგორც "თბილწყალკანალის" გენერალური დირექტორი იუზა ცარციძე აცხადებს, მოსახლეობის უყაირათობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ თბილისის ერთი მცხოვრებნი ევროპის დიდი ქალაქების მობინადრეზე ხუთჯერ მეტს, საშუალოდ, 960 ლიტრ სასმელ წყალს ხარჯავს. აქედან, სასარგებლოდ მოხმარებული წყლის რაოდენობა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს, დანარჩენი არამიზნობრივად ან უქმად ილვრება. ეს ყველაფერი კი თბილისში სასმელი წყლის დეფიციტის საშიშროებას ქმნის. მართალია, წყალმომარაგების სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას, უპირველესად, ქსელის ძირფესვიანი რეაბილიტაცია სჭირდება, მაგრამ როგორც "წყალკანალის" ხელმძღვანელობა აცხადებს, სასმელი წყლის უყაირათო და უკანონო ხარჯვის შემცირების გარეშე, მხოლოდ ქსელის რეაბილიტაციით საჭირო შედეგს ვერ მივიღებთ. ამიტომაც "წყალკანალი" სასმელი წყლის ქურდების წინააღმდეგ ბრძოლას ააქტიურებს და დიღმელების ბოსტნების ბედს მალე სხვა რაიონებში გაშენებული ბაღ-ბოსტნებიც გაიზიარებს.

# პროექტი მეღვინეობის განვითარებისათვის

საქართველოში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროექტის - "საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის და მეღვინეობის მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა" - ძალისხმევითა და უშუალო დახმარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქართული ღვინის ხარისხის ამაღლების და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის საქმეში. GTZ-ის პროექტის ინტენსიური კონსულტაციით ღვინის კომპანია "შუმმა" მიიღო საწარმოო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი ISO: 9001-2000 და HACCP-ს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. 2005 წლის მაისში დამოუკიდებელმა გერმანულმა საკონსულტაციო საწარმომ "სს იფტა-ცერტ ბერლინი", ჩაატარა შესაბამისი აუდიტი. აუდიტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ გაიცა საერთაშორისო სერტიფიკატი DAR (გერმანული სააკრედიტაციო საბჭო)-ს მიერ. GTZ-ის პროექტს და ღვინის კომპანია "შუმს" შორის მოხდა შეთანხმება, რომ ამ სფეროში "შუმი" გახდება პროექტის საკონსულტაციო საწარმო. ამდენად საქართველოს მეღვინეობის სფეროში საშუალო და მცირე საწარმოებს საშუალება ექნებათ, GTZ-ის პროექტის მომსახურების უპირატესობით ისარგებლონ. ასევე გადაწყვეტილია, რომ მომავალში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის საკონსულტაციო სამუშაოებს გააგრძელებს საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის ხელშემწყობი ფონდი, რომელშიც წარმოდგენილია მეღვინეობის სექტორის 23 საწარმო.

*24 საათი*

# სპეცოპერაციამ პროტესტი გამოიწვია

გუშინ ხმაური იყო სიღნაღის რაიონში. მოსახლეობა აპროტესტებდა კახეთის სამხარეო პოლიციის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის შედეგად დაკავებულია 42 წლის ბესიკ ტურაშვილი, მეტსახელად "ტურა". დაკავების მიზეზად სამართალდამცველები იმ ნარკოტიკულ ნივთიერებას ასახელებდნენ, რომლის სახელი და რაოდენობა თავადაც არ იცოდნენ. სწორედ ამის გამო დაკავებულის ახლობლები აცხადებდნენ, რომ პოლიციამ "ტურას" ნარკოტიკი ჩაუდო. **"ჩემი შვილი ორ წელზე მეტია, რაც ნარკოტიკს არ იხმარს და, საერთოდ, ქურდულ სამყაროს გამოეთიშა. ეს დადგმული სპეცოპერაციაა და მეტი არაფერი. თანაც იმ დროს დააკავეს, როცა ყავარჯნებით დადის,"** - აცხადებს დაკავებულის მამა ვალიკო ტურაშვილი. პოლიციის ინფორმაციით, "ტურა" სწორედ იმ ავტორიტეტების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ერთი წლის წინ სიღნაღის პოლიციის მაშინდელ უფროსს გაფრთხილების მიზნით კუბოები გაუგზავნეს.

*ზვიად რუაძე*




## მოკლედ

### ლაგოდეხში რძალმა დედამთილი მოკლა

ლაგოდეხის რაიონის მკვიდრმა 60 წლის ეთერ ჯელაძემ საკუთარი დედამთილი, 87 წლის ლიზიკო კაპანაძე მოკლა. მკვლელობის მიზეზად პოლიცია ეთერ ჯილაძის ლოთობას ასახელებს, რადგან დანაშაულში ეჭვმიტანილი ხშირად ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ღამეებს მეტწილად ოჯახისთვის გაურკვეველ ადგილებში ათევდა. დანაშაული კი მეგობრის შვილის დაბადების დღიდან დაბრუნებულმა ჩაიდინა. **"ეთერ ჯელაძე იმდენად ნასვამი იყო, რომ ჩადენილი დანაშაული არ ახსოვს. რა იყო მკვლელობის ზუსტი მოტივი, ამას გამოძიება დაადგენს,"** - ამბობს ლაგოდეხის პოლიციის უფროსი არჩილ შაბურიშვილი. ლიზიკო კაპანაძის გვამის დათვალიერების შედეგად, გარდაცვლილს სხეულზე რაიმე ბლაგვი იარლის ნაკვალევი არ აღმოჩნდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ირკვევა, რომ ეთერ ჯილაძის დედამთილი იმ დროს გარდაიცვალა, როცა დაეცა და ტვინში სისხლჩაქცევა დაემართა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრაიმერის ანუ შიდა ოპოზიციური არჩევნების შემდეგ გამოვლენილ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შუალედური არჩევნებისთვის ხუთივე ოპოზიციური პარტია თანაბრად დააფინანსებს. როგორც კონსერვატორთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, გაერთიანებული ოპოზიცია ერთობლივი ძალებით მოიძიებს შესაბამის თანხებს, რათა ოპოზიციის კანდიდატებს სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანია ჰქონდეთ. "ბევრი მსხვილი, საშუალო და წვრილი ბიზნესმენი, ხელისუფლების შიშით, ერიდება ოპოზიციური პარტიების დაფინანსებას. რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან ანონიმურობა დაცული იქნება, რათა ხელისუფლებამ ზეწოლის ბერკეტები არ გამოიყენოს," - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებისთვის უფრო მეტ თანხას დახარჯავს, ოპოზიციის გამარჯვების შანსები მაინც დიდია. "ფულიც მაგათია და ხელისუფლებაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამომრჩეველი არჩევანს ჩვენს სასარგებლოდ გააკეთებს," - თქვა ზვიად ძიძიგურმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს საზღვარგარეთის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების საქმეში სერიოზული პრობლემები შეექმნათ. როგორც ჩეჩნური დიასპორის ერთ-ერთმა ლიდერმა ხიზრი ალდამოვმა განაცხადა, ბესლანის ტრაგედიისა და ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას ჩეჩენ ლტოლვილთა მიერ საპროტესტო აქციების გამართვის გამო, დასავლეთის ქვეყნების დიდმა ნაწილმა ჩეჩნების მიღებაზე უარი განაცხადა. "მიმაჩნია, რომ ბუშის ვიზიტის დროს საპროტესტო აქციის ჩატარებით პანკისის ხეობაში მყოფმა ლტოლვილებმა საქმე გაიფუჭეს. ამას ემატება ბესლანის ტრაგედია - რუსეთის საინფორმაციო მანქანა მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ყველა ჩეჩენი ტერორისტია. ამიტომაც, ბევრ ქვეყანას აღარ სურს ჩეჩენი ლტოლვილების მიღება," - აღნიშნა ხიზრი ალდამოვმა. მისივე თქმით, ჩეჩნების გარკვეულ ნაწილს საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურს. "იმედია, საშემოდგომო სესიაზე პარლამენტი იმსჯელებს ამ საკითხზე და ყველა მთხოვნელს დააკმაყოფილებს. თუმცა, მესამე ქვეყანაში წასვლის მსურველი უფრო ბევრია და გაერო დიდ მუშაობას ეწევა, რათა ჩეჩნებს პოლიტიკური თავშესაფრის მიღების მხრივ პრობლემები მოეხსნათ," - განაცხადა ალდამოვმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის თბილისის ოფისში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური შეხვედრა რამდენიმე დღით გადაიდო. როგორც კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, შეხვედრა ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო. მხარეებს საქართველო-რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და მოსახლეობისთვის უსაფრთხოების გარანტიების საკითხები უნდა განეხილათ. ამასთან დაკავშირებით თბილისში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას ელოდებიან. ქართულ მხარეს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს. შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის დევნილი მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ გუშინ ვაშინგტონში აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთსაათიანი შეხვედრა გამართა. როგორც "მემარჯვენეების" პრესსამსახურში განაცხადეს, პრეზიდენტ ბუშის მოწოდების თანახმად, სხვადასხვა ქვეყნების ძლიერმა მემარჯვენე-ცენტრისტულმა პარტიებმა ერთად უნდა იბრძოლონ მსოფლიოში მემარჯვენე მსოფლმხედველობის განმტკიცების და თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის. აშშ-ს პრეზიდენტთან საუბრისას დავით გამყრელიძემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოში ბოლო პერიოდში დაგროვდა. მათ შორის, პრეზიდენტისა და მთავრობის ინსტიტუციურ უკონტროლობაზე, ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა სრულ იგნორირებაზე, კერძო საკუთრების ხელყოფაზე და ბიზნეს-საქმიანობაში ხელისუფლების წარმომადგენელთა შეუზღუდავ ჩარევაზე, თვითმმართველობის დაკნინებასა და მასმედიის შევიწროებაზე. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე აშშ-ში 15 ივლისს, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის ლიდერთა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მთავარია, იყოს კონსენსუსი

## ევროსაბჭოს ექსპერტები ადგილობრივი არჩევნების საკითხში ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებენ

*ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის მხარდაჭერით, თბილისში საქართველოს ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის რიგით მეექვსე შეხვედრა იმართება. შეხვედრაზე, რომელსაც ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის წარმომადგენლებიც ესწრებიან, განიხილება: კანონპროექტი ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ; საქართველოს ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნული ასოციაციის რეზოლუცია მერების არჩევის პროცედურასთან დაკავშირებით; მერების არჩევის განსხვავებული სისტემები (პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევის სისტემები); ადგილობრივად არჩეულ ხელმძღვანელ პირთა ქცევის კოდექსი; საწესდებო კომისიათა საქმიანობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.*

ნინო გომართელი

ევროსაბჭოს წარმომადგენელთა განცხადებით, შეხვედრა საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას ემსახურება.

**"მე საქართველოს ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნულ ასოციაციას თხოვნით მივმართე, რომ დამატებით ყოფილიყო მოხსენებები მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე. იმის ფონზე, თუ როგორი არჩევნები ჩატარდა 2001 წელს და რა პრობლემები არსებობდა, გულახდილად რომ გითხრათ, მე მსურს მომავალი არჩევნები იყოს თავისუფალი, დემოკრატიული და გამჭვირვალე. თუ ის გასულის მსგავსი იქნება, ჩვენ ველარ შევძლებთ საქართველოში დემოკრატიის არსებობაზე საუბარს,"** - აღნიშნა "24 საათთან" ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის წევრმა, საქართველოში არსებულ ადგილობრივ და რეგიონულ დემოკრატიაზე მომხსენებელმა იან მიკალეფმა.

ყველაზე დიდი პრობლემა კი, მისი აზრით, ამომრჩეველთა სიების მოუწესრიგებლობა იყო, როდესაც საარჩევნო უბანზე მისულ ხალხს საკუთარი არჩევანის გაკეთება თავისუფლად არ შეეძლო. **"არჩევნებად კი ითვლება ის, რომლის შედეგიც ამომრჩეველთა ნებას გამოხატავს,"** - აღნიშნავს ევროსაბჭოს ექსპერტი.

რაც შეეხება დედაქალაქის მერის არჩევის წესს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენითაც მიიღო და ემყარება სისტემას - "მოგებულს ყველაფერი რჩება", იან მიკალეფი თავს ვალდებულად მიიჩნევს, კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი: მიუხედავად იმისა, რომ სისტემა დემოკრატიულ ფარგლებშია, ის მაინც არ არის საუკეთესო.



*"არჩევნებად ითვლება ის, რომლის შედეგიც ამომრჩეველთა ნებას გამოხატავს," - აღნიშნავს იან მიკალეფი.*

**"ძალზე ბევრი დემოკრატიული სისტემა არსებობს, რომელიც ნამდვილად უფრო ღირსეულია - სისტემა, რომელიც სწორედ იმას ასახავს, რასაც მოსახლეობა ირჩევს,"** - ამბობს ექსპერტი. იგი საქართველოს მთავრობას დიალოგისკენ მოუწოდებს, რომ კანონის მიღებისას გათვალისწინებულ იქნეს ყველა მხარის მოსაზრება, მათ შორის - იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვა, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ხელს უწყობდნენ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას. **"მთავარია, იყოს კონსენსუსი!"** - ხაზს უსვამს ექსპერტი.

იან მიკალეფი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში ნამდვილად დემოკრატიული ხელისუფლება უნდა იყოს და ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხალხისთვის, რაც, თავისთავად, პრიორიტეტული საკითხია, არამედ ეკონომიკისთვისაც.

**"საქართველოში ინვესტირება ხდება. თუ უცხოელი ინვესტორები დარწმუნდებიან, რომ საქართველოში ნამდვილად დემოკრატიული პრინციპებია, ისინი მეტ ფულს დააბანდებენ,"** - ამბობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის წევრი.

იან მიკალეფი სტრასბურგში დაბრუნებისთანავე კონგრესს მოხსენებას წარუდგენს, საქართველოში ადგილობრივ და რეგიონულ დემოკრატიაზე. როგორც თავად ამბობს, ევროპის საბჭო ყველანაირად შეუწყობს ხელს და დაეხმარება საქართველოს ადგილობრივი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფაში.

# სანაპირო დაცვის იუბილე ფოთში

პირველი გვერდიდან

სანაპირო დაცვის განვითარებაში სოლიდური წვლილი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუძღვის. 1999 წლიდან, აშშ-ს საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის ფარგლებში სისტემატური სასწავლო კურსების გარდა, სარადარო სადგურების მშენებლობა, სათანადო ფორმების, ინვენტარის, 4 სპეციფიკური მცურავი საშუალების გადმოცემა მოხერხდა. როგორც პროგრამის ხელმძღვანელი ჯონათან თრიმბლი "24 საათთან" საუბრისას ამბობს, **"პროგრესი სახეზეა და თანამშრომლობა ახალ ფაზაში გადავა. საქართველოს სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობა უკვე მზადაა, თავისი ფუნქციები განახორციელოს. პროგრამა გაგრძელდება და სწავლების კურსებთან ერთად იგეგმება ადგილზე, უწყებაში, გადამზადების ცენტრის შექმნაში მონაწილეობის მიღება."**

საიუბილეო მედლით დაჯილდოებულთა შორის იყო აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი. იგი სანაპირო დაცვის საპატიო წევრადაც აირჩიეს.

**"ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლები ვამაყობთ ამ თანამშრომლობით და საქართველოს სანაპირო დაცვის მიღწევებით. მედალი, რომელიც მომანიჭეს, ჩემთვის ძალიან საპატიოა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ არის ჩემი პიროვნული დამსახურება, ეს არის შეერთებული შტატების მთავრობისათვის გადაცემული ჯილდო,"** - განაცხადა რიჩარდ მაილსმა "24 საათთან" საუბრისას.

# ფინანსურმა პოლიციამ ფალსიფიცირებული წამლების საამქროს მიაგნო

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს მონაცემებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 345 დასახელების ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებაა გამოვლენილი. მათი საბაზრო ღირებულება დაახლოებით 100 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. გუშინ ფინანსურმა პოლიციამ სოფელ გლდანში მედიკამენტების დამამზადებელი კიდევ ორი კუსტარული საწარმო აღმოაჩინა, საიდანაც დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული მედიკამენტებია ამოღებული.*

თამარ დვალი

როგორც წამლის შესახებ კანონი განმარტავს, წამლის უკანონო ასლიც ფალსიფიცირებად ითვლება. ანუ, როდესაც წამალს ფარულად ამზადებენ, ეს არის ფალსიფიცირება, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი მას ფალსიფიცირებად არ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ის სასაქონლო ნიშნის გაყალბების კვალიფიკაციას ღებულობს. ფალსიფიცირება განიხილება ორ ნაწილად; პირველი, როდესაც პირს მხოლოდ ადმინისტრაციული გადასახადი ეკისრება, ხოლო მეორე, როდესაც ფალსიფიკატორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

ადმინისტრაციული სასჯელი 800 ლარის ოდენობის ჯარიმას გულისხმობს, რაც, სპეციალისტების აზრით, ძალზედ მცირე სასჯელია და აუცილებელია მისი გამკაცრება. სავარაუდოდ, მსჯელობის საგანი გახდება, უკანონო ასლი განხილულ იქნეს თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულად.

იმის დადგენა, ფალსიფიცირებული წამლების უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა თუ შემოტანილი, ვერ ხერხდება, რადგან ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. უკვე გამოვლენილი წამლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შეფუთული წამლები, ძირითადად, შემოტანილია. სავარაუდოდ, ხდება ვადაგასული წამლების გადაფასოებაც.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ფალსიფიცირებული მედიკამენტების უდიდესი ნაწილი ქალაქის გარეუბნებში განლაგებულ კუსტარულ საწარმოებში მზადდება. გუშინ სოფელ გლდანში აღმოჩენილი ორი საწარმოც ამასვე მოწმობს. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევამ მხეიძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია საწარმოს მეპატრონე დავით ჯიბლაძე და რეალიზატორები, ცოლ-ქმარი დავით და მილა მელიქოვები.

წინასწარი ინფორმაციით, დავით ჯიბლაძე, რომელსაც საწარმო საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი, თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორია. ამოღებულ მედიკამენტთა შორის არის "კეტანოლი", "სუპრასტინი", "დიაზეპამი", "ასპირინი", "ნიზორალი" და სხვა პრეპარატები. მხეიძის თქმით, მათ მიერ ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული, დიდი ოდენობის შესაფუთი მასალებიც.

ფინანსური პოლიციის მონაცემებით, აღნიშნულ საწარმოში დამზადებული ფალსიფიცირებული მედიკამენტები თბილისის რამდენიმე პრესტიჟულ აფთიაქში იყიდებოდა. ფინანსურმა პოლიციამ მიაგნო ასევე, ჯიბლაძის კუთვნილ კიდევ ერთ საწარმოს, რომელიც მიწაში იყო ჩამარხული. დამნაშავეები წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილნი და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ფალსიფიკაციის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პრეპარატების დამზადების და რეალიზაციის მუხლით აღიძრა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს უფროსის თინათინ ტურძელაძის თქმით, გამოსავალი მდგომარეობს შემდეგში - აფთიაქებმა წამალი მხოლოდ კანონიერი გზით მიიღონ, ანუ თავისივე ფაქტურით, რასაც აფთიაქების უმრავლესობა არ აკეთებს. მისივე განმარტებით, ფალსიფიცირება არის რამდენიმე სახის. ერთი, როდესაც მედიკამენტში არ არის მოქმედი ნივთიერება და მეორე, როდესაც არის მოქმედი ნივთიერება, მაგრამ არის დაბინძურება. ლაბორატორიული კვლევის დროს ზუსტდება, არის თუ არა წამალში იმ რაოდენობით მოქმედი ნივთიერება, რამდენიც უნდა იყოს. სამწუხაროდ, ლაბორატორიული კვლევა ვერ ადგენს, რა პირობებში იქნა დამზადებული პრეპარატები, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

*უცხოეთი*

# არის თუ არა უცხოური გრანტები ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა?

## ვლადიმირ პუტინმა უცხოელებს პოლიტიკური პროცესების დაფინანსება აუკრძალა

*რუსეთის პრეზიდენტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, რომელიც გუშინ კრემლში გაიმართა, კიდევ ერთხელ აღინიშნა ხაზგასმით, რომ რუსეთის ხელისუფლება არ დაუშვებს უცხოური გრანტების სახით შემოსული დახმარებების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას.*

ვლადიმირ პუტინის განცხადებით, რუსეთი არ დაუშვებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკური მოღვაწეობის დაფინანსებას საზღვაგარეთიდან. **"არც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი სახელმწიფო ამას არ აკეთებს და არც ჩვენ დავუშვებთ"**, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა გუშინ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს წევრებთან შეხვედრისას.

**"რუსეთში (საზოგადოებრივი ორგანიზაციების) პოლიტიკური საქმიანობის უცხოეთიდან დაფინანსებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები"**, - აღნიშნავს რუსეთის ლიდერი.

როგორც ირკვევა, მისთვის "ცნობილია", რომ **"საზღვარგარეთიდან გამოიყოფა ფული რუსეთში კონკრეტული პოლიტიკური საქმიანობისათვის... რაც მთავარია, ძალიან "მგრძნობიარე" მიმართულებებით... ჩვენ გვესმის, რომ ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს"**, - ამბობს რუსეთის ლიდერი.

შეგახსენებთ, აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებით, მომავალ წელს "რუსეთში დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობის პროგრამებისთვის" 85 მლნ აშშ დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. აქედან 5 მლნ დაიხარჯება "პოლიტიკური პარტიების განვითარების მხარდაჭერის პროგრამებზე". საგულისხმოა, რომ ამერიკული დახმარება ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც ითვალისწინებს - მასში აღნიშულია მითითება სახელმწიფო დეპარტამენტისა და USAID-ის მისამართით: **"აუცილებელია, დაჟინებით და საჯაროდ დაუჭირონ მხარი რუსეთში და აზერბაიჯანში პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებულ პროექტებს"**.

ბუნებრივია, ოფიციალური მოსკოვი შიშობს, რომ ეს თანხები "ხავერდოვანი რევოლუციის" მოსაწყობად იქნება გამოყენებული. გუშინდელი შეხვედრაც, სავარაუდოდ, "ფერადი რევოლუციის" პრევენციის მიზნით მოეწყო.

ვლადიმირ პუტინმა "ორიგინალური" გამოსავალიც მოძებნა - ხელისუფლება თავად დაეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო გრანტების საშუალებით. **"მოდით, ჩვენი შიდაპოლიტიკური პრობლემები აქვე, თავად გადავწყვიტოთ"**, - მოუწოდა პრეზიდენტმა შეხვედრის მონაწილეებს. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ეს ქმედება არავინ არ უნდა განიხილოს "სახელმწიფოს მხრიდან მოსყიდვის მცდელობად".

ფაქტი კი ჯიუტია - თავად პრეზიდენტის სიტყვებს თუ გავიხსენებთ: "ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს"...

# ნიგერი - შიმშილი და დაღუპული პატარები

*მაშინ, როცა ევროპელები ყოველწლიურად ნაყინზე - 10, ხოლო ამერიკელები შინაურ ცხოველთა მოვლაზე 35 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ, ნიგერში ყოველდღიურად ათასობით ბავშვი შიმშილით იღუპება. ჰუმანიტარული ორგანიზაციები ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას საგანგაშოს უწოდებენ და მსოფლიოს სიკვდილის პირას მყოფი პატარების გადარჩენისთვის სასწრაფო ზომების მიღებას სთხოვენ. კრიზისის დასაძლევად საჭირო ყველაზე მცირედი თანხიდან - 30 მილიონი აშშ დოლარიდან, ნიგერმა ჯერჯერობით მხოლოდ 650 ათასი მიიღო.*

ნანა ნასყიდაშვილი

მსოფლიოს ერთ-ერთ ულარიბეს ქვეყანაში - ნიგერში 3,5 მილიონი ადამიანი შიმშილის პირასაა, ხოლო სხვადასხვა დახმარების ცენტრებში ბავშვები ყოველდღიურად იღუპებიან. ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაცია World Vision-ი საგანგაშო შეტყობინებას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, თუ უახლოეს მომავალში ქვეყანა დახმარებას არ მიიღებს, ქვეყნის ყველაზე მეტად გაჭირვებულ რეგიონებში ბავშვთა 10 პროცენტს გარდაუვალი სიკვდილი ელის. სხვადასხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა განცხადებით კი, იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო აღნიშნულ ქვეყანაში არსებულ კრიზისზე სასწრაფო რეაგირებას არ მოახდენს, მდგომარეობა უკიდურესი გახდება. **"ნიგერის კრიზისზე ყველა თვალებს ხუჭავს. ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ატეხილ განგაშზე დროულად რეაგირებას არავინ ახდენს. მსოფლიო ფხიზლდება, როდესაც ტელევიზიით მომაკვდავ ბავშვებს ხედავს. ბოლო კვირის განმავლობაში დახმარების სურვილი გაცილებით მეტმა ორგანიზაციამ და ქვეყანამ გამოთქვა, ვიდრე - შარშან, მაგრამ პატარების დიდ ნაწილს ეს დახმარება ველარ მოუსწრებს"**, - განაცხადა გაეროს ჰუმანიტარული მისიის გენერალური მდივნის მოადგილემ იან ეგელანდმა. მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თქმით, ბავშვები ყოველდღე იღუპებიან.

ნიგერი აფრიკის ულარიბესი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის ერთი მესამედისთვის შიმშილი მთავარ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, წლევანდელი კრიზისი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. ნიგერში არსებულ მდგომარეობაზე ექსპერტები ჯერ კიდევ შარშან ალაპარაკდნენ, როდესაც ნალექების სიმცირისა და მწერების შემოსევათა გამო, მოსავლის დიდი ნაწილი განადგურდა. გაეროს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციამ ქვეყნის დახმარებისკენ მსოფლიოს არაერთხელ მოუწოდა, თუმცა სასწრაფოდ საჭირო 30 მილიონიდან ქვეყანამ მხოლოდ შვედეთის დახმარება - 650 ათასი აშშ დოლარი მიიღო. გაერო-ს ჰუმანიტარული მისიის წარმომადგენლის ეგელანის თქმით, აღნიშნული თანხა პრობლემის მოსაგვარებლად ზღვაში წვეთია და მსოფლიომ ნიგერში კრიზისის დასაძლევად არა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება უნდა გაიღოს, არამედ ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარებაში უნდა დაეხმაროს.

# ჩინეთის ბირთვული ამბიციები

ტაივანის მოპირდაპირე მხარეს ჩინეთის მიერ ახლო რადიუსის მოქმედების 730 ცალი ბირთვული რაკეტის განლაგებამ პენტაგონის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, რაც აშშ-ს თავდაცვის უწყების ყოველწლიურ მოხსენებაშიც აისახა. კონგრესისათვის მომზადებულ 45-გვერდიან ანგარიშში ნათქვამია ისიც, რომ ჩინეთის შეიარაღების რეზერვი ყოველწლიურად 100 ცალი რაკეტით ივსება. პენტაგონის გამოთვლებით, ოფიციალური პეკინი თავდაცვაზე ყოველწლიურად, დაახლოებით, 90 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავს. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, ჩინეთის გამალებული შეიარაღება აუცილებლად გამოიწვევს რეგიონში სამხედრო ბალანსის რღვევას. ამჟამინდელი მაჩვენებლებით კი მოსალოდნელი დისბალანსი მხოლოდ ჩინეთისთვის თუ იქნება მომგებიანი. როგორც სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, არმიის მოდერნიზაციის მიზანი ოფიციალური პეკინისათვის ტაივანის დამარცხებაა. ამერიკელი ექსპერტები მიდიან დასკვნამდე, რომ იმ პირობებში, როდესაც ჩინეთს, სამხედრო თვალსაზრისით, არც ერთი სახელმწიფო არ ემუქრება, ოფიციალური პეკინის მიერ შეიარაღებაზე ყოველწლიურად თანხების განუხრელი ზრდა მხოლოდ ომისათვის მზადებაა. ამ კუნძულს ჩინეთი თავის განუყოფელ ნაწილად განიხილავს და, ტაივანის მხრიდან დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხადების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ მოერიდება. აშშ, რომელიც ტაივანისთვის იარაღის უმთავრესი მიმწოდებელია, მომხრეა სტატუს კვოს შენარჩუნებისა, რისკენაც მოუწოდებს კიდეც ორივე მხარეს. ტაივანის მოპირდაპირე მხარეს რაკეტების განთავსება ჩინეთის მხრიდან ამ კუნძულზე სარაკეტო დარტყმების განხორციელებისა და ბლოკირების განზრახვით თუ აიხსნება. პენტაგონის სტრატეგოსებს კი ისლა დარჩენიათ, რომ, კონფლიქტის სავარაუდო ესკალაციის შემთხვევაში, აშშ-ს პოზიციური ვარიანტების შემუშავებაზე იფიქრონ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსები კიდევ უფრო შორს მიდიან პროგნოზებისას და არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, ჩინეთის სამხედრო ამბიციები ტაივანის ფარგლებს მიღმაც გავრცელდეს. ამგვარი პროგნოზების არგუმენტად კი ამერიკელებს ის ფაქტი მოჰყავთ, რომ ჩინეთი მხოლოდ ახლო რადიუსის მოქმედების რაკეტებს კი არ ავითარებს, არამედ მუშაობს DF31 ტიპის შორი მოქმედების ბირთვულ იარაღზეც. ამ უკანასკნელის გავრცელების არეალი შეზღუდული არ არის, მით უფრო, რომ იგი ბირთვული ქობინებითაც არის აღჭურვილი.

ჩინეთის სამხედრო ფლოტმა უკვე შეიძინა რუსეთისაგან სამხედრო ხომალდები, წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები. თუ ეს მომავალშიც გაგრძელდება, ჩინეთი სხვა სახელმწიფოებისათვის რეგიონში სამხედრო ინტერესების მქონე რეალური საფრთხის წყაროდ იქცევა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რეგიონში ჩინეთის ინტერესები აზიაში დისლოცირებული აშშ-ს შეიარაღებულ ძალებთან უშუალო კონფლიქტში აღმოჩნდება - ასე მიიჩნევენ პენტაგონში.

# რკინიგზის გახსნა ახლო პერსპექტივაა

პირველი გვერდიდან

მხარეებმა დაამტკიცეს ფსოუ (ხიდი მდინარე ფსოუზე) - ინგირის (მდინარე ენგურზე არსებული ხიდის ჩათვლით) მონაკვეთზე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის ვადები: ტექნიკური ჯგუფები ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის შესწავლას 9 აგვისტოს დაიწყებენ და 1 ოქტომბრისთვის დაასრულებენ.

გამოყოფილია სამი მობილური ბრიგადა 41 კაცის შემადგენლობით (მათ შორის 15 ქართველია), რომლებიც რამდენიმე მიმართულებით იმუშავებენ. ეს მიმართულებებია: ენერგომომარაგება, გზები, მცირე ხელოვნური ნაგებობები; საშუალო და დიდი ნაგებობები, საპროექტო სამუშაოები; სალოკომოტივო, სავაგონე, სამგზავრო მეურნეობა და მატარებლების მოძრაობის ორგანიზება, ინფორმაცია და კავშირგაბმულობა, ბლოკირების სიგნალიზაცია.

დადგენილია, აგრეთვე, სპეციალისტთა მობილური ბრიგადების დისლოკაციის პუნქტები - გაგრა, სოხუმი და გალი. ამ პუნქტებში განთავსებულ ბრიგადებს აფხაზური მხარე უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებით, კავშირგაბმულობით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით.

შემაჯამებელი ოქმის ხელმოწერის მიუხედავად, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აღნიშნავს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისს ჯერჯერობით არ მიუღია. **"ეს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პრეროგატივაა,"** - აცხადებს ხაინდრავა.

*24 საათი*

# ოპოზიციის საყვედურები ხელისუფლებას

პირველი გვერდიდან

ოპოზიცია შეახსენებს ხელისუფლებას, რომ აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისად, მიწა და წიაღისეული ერის საკუთრებაა. ეროვნული ერთიანობის ფორუმი მოითხოვს, შეწყდეს მსხვილი ობიექტების გაყიდვა, სანამ ხელისუფლების მიერ არ შეიქმნება ნორმატიული ბაზა, რომელიც პრივატიზაციის პროცესის ღიაობას და აფხაზეთის მოსახლეობას სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფს.

ამასთან, ოპოზიცია მოითხოვს უმოკლეს ვადებში შემუშაონ ის საბინაო კანონმდებლობა, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართების ხელშეუხებლობის გარანტი იქნებოდა.

ეროვნული ერთიანობის ფორუმს მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას აფხაზეთში დევნილთა სპონტანური დაბრუნება, რაც, მათი აზრით, უკვე ხდება კიდეც. ამასთან, კანონით უნდა დადგინდეს გალში დაბრუნებული დევნილების სტატუსი.

ოპოზიციონერთა მოსაზრებით, უნდა დადგინდეს ამ ხალხის ადაპტაციის ვადები და, პირველ ეტაპზე, ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნაცვლად, მათ აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების დამადასტურებელი მოწმობები დაურიგდეთ.

# ვინ გამოისახება ორასლარიან კუპიურაზე?

## გამოკითხვის შედეგები დღევანდელი მდგომარეობით:

ეროვნული ბანკი 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესამუშავებლად გამოკითხვას ატარებს. 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესამუშავებლად საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებს. გამოკითხვა მიმდინარეობს როგორც სატელეფონო, ისე ანკეტირების ფორმით. მთავარი შეკითხვაა - რომელი საზოგადო მოღვაწის პორტრეტი უნდა გამოისახოს 200 ლარის ნომინალის ბანკნოტზე. 2005 წლის 19 ივლისის 18 საათისათვის გამოკითხულია 1071 რესპონდენტი (861 სატელეფონო, ხოლო 210 ანკეტირების ფორმით). შედეგად, ნიკო ნიკოლაძეს ხმა მისცა 201-მა, ექვთიმე თაყაიშვილს - 193-მა, ვაჟა-ფშაველას - 175-მა, გალაკტიონ ტაბიძეს - 147-მა, დიმიტრი ყიფიანს - 102-მა, ერეკლე მეორეს - 70-მა, ნიკო მუსხელიშვილს - 31-მა, დავით სარაჯიშვილს - 40-მა, დავით გურამიშვილს - 36-მა, ძმებ ზუბალაშვილებს - 28-მ, ილია ვეკუას - 14-მა, ვახტანგ გორგასალს - 12-მა, გიორგი სააკაძეს - 11-მა, გიორგი ბრწყინვალეს - 8-მ, ხოლო სხვა საზოგადო მოღვაწეს - 3-ხმა პიროვნებამ. სოციოლოგიური გამოკითხვა გრძელდება. ხმის მიცემა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nbg.gov.ge



## შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს კონკურსს

## საჰაერო მართვის მეთვალყურეთა მომზადება

ზოგადი პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შპს "საქაერონავიგაცია" სთავაზობს მართვის მეთვალყურეების მოსამზადებელ კურსებს. მსურველთა შერჩევა იწარმოებს ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით.

სწავლება დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბერში. შპს "საქსტაკის" საერთაშორისო სასწავლო ცენტრში, მისამართზე თბილისი, აეროპორტი 0158. სწავლებას წარმართვენ ბრიტანელი ინსტრუქტორები ICAO-ს მიერ აკრედიტირებული პროგრამით. სწავლება იწარმოებს ინგლისურ ენაზე. კურსდამთავრებულების მიერ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდგომ მოხდება მათი დასაქმება შპს "საქაერონავიგაციაში" (ასევე ორი კურსდამთავრებულის დასაქმება განხორციელდება საზღვარგარეთის სააერნაოსნო სამსახურებში).

- ასაკი 19-იდან 25 წლამდე;

აუცილებელია ინგლისური ენის კარგი ცოდნა (წერა, საუბარი), რაც შემოწმდება ტესტირებით;

- ინტერესი ავიაციის სფეროსადმი;

ტექნიკური საგნების (მათემატიკის) ცოდნა;

- დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მსურველებს გთხოვთ, მიმართოთ ბრიტანეთის საბჭოს (რუსთაველის გამზირი N34, 17.00 საათამდე, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 250407; 988014; 923402; 935723) შესავსები ფორმებისათვის, რომლებიც უნდა დაუბრუნოთ ბრიტანეთის საბჭოს 29 ივლისამდე.

განცხადების შერჩევის შემდეგ, ინგლისურის ტესტი ჩატარდება "შერატონ მეტეხი პალასში" 2005 წლის 8 აგვისტოს. შესარჩევი ტურის მეორე ეტაპზე (გასაუბრებაზე, რომელიც ჩატარდება უშუალოდ ინგლისელების მიერ) დაიშვებიან პირველ ტურში გასული მონაწილეები, 2005 12 აგვისტოს.



## შენიშვნა

გაზეთ "24 საათის" 30 ივნისის 146 (10.06)-ე ნომერში გამოქვეყნდა გარდაბნის გამგეობის მიერ გამოცხადებული კომერციული კონკურსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

აღნიშნულ კონკურსში ჩამოთვლილ საკრებულოებს დაემატოს კოჯრის საკრებულო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ღია ტენდერს **ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ოფისების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე**. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

1. შესყიდვა განხორციელდება 12 ლოტად:

***I ლოტი*** - წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N25);

***II ლოტი*** - ზესტაფონის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.N11);

***III ლოტი*** - სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ.N2);

***IV ლოტი*** - სენაკის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. სენაკი, რუსთაველის ქ.N235);

***V ლოტი*** - მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ.N10);

***VI ლოტი*** - ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.ლანჩხუთი, თაბუკაშვილის ქ.N83);

***VII ლოტი*** - ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ.N2);

***VIII ლოტი*** - გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.გურჯაანი, ნონეშვილის ქ.N14);

***IX ლოტი*** - გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ.N73);

***X ლოტი*** - თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.N34);

***XI ლოტი*** - მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ. მარნეული, რუსთაველის ქ.N71);

***XII ლოტი*** - ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (ქ.ახალქალაქი, თამარ მეფის ქ.N44).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ მათთვის სასურველ ერთ ან რამდენიმე ლოტში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2005 წლის 1 სექტემბრიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ორი ეგზემპლარი უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 5 აგვისტოდან 8 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი) და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

თ) საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

ე) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ზ) საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილის იურიდიული სტატუსი, რეგისტრაციის ადგილი, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი, სატენდერო წინადადების ხელმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ);

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაო:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შესყიდული იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი, ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ მომსახურებაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

- მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2005 წლის 17 აგვისტოს 17 საათამდე, სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
E-mail : glemonjava@napr.gov.ge,
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის მთავრობა (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია საერთოშორისო ტენდერს 15 ერთეული სამგზავრო საქალაქო ავტობუსის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - 15 ერთეული სამგზავრო საქალაქო ავტობუსი.

დაფინანსების წყარო - ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა: 2005 წლის გამოშვება, დიზელის ძრავა, ძრავის მოცულობა მინიმუმ 4500სმ3, 2 კარი, მექანიკური 5 სიჩქარიანი კოლოფი, მინიმუმ 21 დასაჯდომი ადგილი.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 აგვისტოს 10 საათიდან 2005 წლის 12 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები;

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 17 აგვისტოს წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 22 აგვისტოდან 2005 წლის 24 აგვისტოს 17 საათამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

11. სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით;

11. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 3%-ის ოდენობით;

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში შეიძლება გამოვლენილი იქნეს ერთი გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: კობა ხინიკაძე ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

* უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან, რომელსაც უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება
# ღია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს "უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების" - "პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის" ფარგლებში უმუშევართა მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

თბილისი

**ლოტი N1.** ა) საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 10

ბ) ოფისმენეჯერი - 15

გ) მდივან-რეფერენტი - 10

**ლოტი N2.** ა) სასტუმროს ადმინისტრატორი - 15

ბ) რესტორნის ადმინისტრატორი - 15

**ლოტი N3.** ა) კომპიუტერული სისტემის ოპერატორი პოლიგრაფიულ სამუშაოებზე სპეციალიზაციით - 10

ბ) ობსეტური ბეჭდვის მბეჭდავი - 10

**ლოტი N4.** კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების შემკეთებელი - 20

**ლოტი N5.** ა) ავტომანქანის შემკეთებელი - 20

ბ) ავტოელექტრიკოსი - 15

**ლოტი N6.** ლითონის მხატვრული დამუშავების (ტიხრული მინანქრის) სპეციალისტი - 30

**ლოტი N7.** მკერავი - 10

**ლოტი N8.** აირშემდუღებელი - 20

**ლოტი 9.** სამშენებლო-საინსტალაციო პროფესიები (გათბობის, ელ. გაყვანილობისა და ვენტილაციის სპეციალისტი) - 20

**ლოტი N10.** ძიძა ოჯახში - 20

**ლოტი N11.** ა) პარიკმახერი - 25

ბ) მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი - 15

გ) კოსმეტოლოგი - 10

**ლოტი N12.** ა) მზარეული - 20

ბ) მიმტანი - 20

გ) ბარმენი - 20

**ლოტი N13.** მცხობელი - 20

აჭარა

**ლოტი N14.** პარიკმახერი - 5

**ლოტი N15.** ა) საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 20

ბ) მდივან-რეფერენტი - 20

**ლოტი N16.** სასტუმროს ადმინისტრატორი - 5

თელავი

**ლოტი N17.** საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 10

გორი

**ლოტი N18.** საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 10

ოზურგეთი

**ლოტი N19.** საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 10

ზუგდიდი

**ლოტი N20.** საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვა - 10

ფოთი

**ლოტი N21.** მდივან-რეფერენტი - 10

ქუთაისი

**ლოტი N22.** მკერავი - 20

*2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები* - 2005 წლის სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 5 აგვისტოდან 8 აგვისტოს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე - სასამართლო ორგანოდან;

ბ) საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია ან აკრედიტაცია;

დ) აუდიტორული კომპანიის დასკვნა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აკრედიტაციის არმქონე ორგანიზაციებისთვის);

ე) ინფორმაცია ორგანიზაციის სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის შესახებ;

ვ) სასწავლებლის ან პედაგოგთა შესაბამისი კვალიფიკაცია და ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება;

ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

5.4. გარდა ზემოაღნიშნული ნუსხისა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დამატებით შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მოქმედ საწარმოში პრაქტიკული მეცადინეობის უზრუნველყოფის გარანტია სპეციალობების მიხედვით;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის შესაძლებლობა.

6. მე-5 პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში, ღირებულების გარეშე.

9. პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს პრეტენდენტის ზოგად მიდგომებს განსახორციელებელი მომსახურების შესახებ ლოტების მიხედვით;

10. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

11. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12. ტენდერის I ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის თარიღი პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 698485.

***E-mail:*** saesa-gov@yahoo.com

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:**

**1.** შპს "აშკავეთის" მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე, "გარდაბნის რ-ნის თიხა-თაბაშირის საბადოს, სოფ. მარტყოფის საკრებულოს ტერიტორიაზე, გაჯის წარმოების მიზნით, გამოყოფილი შპს "აშკავეთზე" სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნის დამუშავების სქემა";

**2.** შპს "კოკა-97"-ის მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე, ქ. ტყიბულთან არსებული "დოხორას კირქვის გამოვლინების დამუშავების პროექტი";

**3.** შპს "ალვანის" მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე, "ბოლნისის რ-ნში მდ. მაშავერას ხეობაში სოფ. მწყნეთის მიმდებარედ ქვიშა-ხრეშის გამოვლინების შესწავლა-მოპოვებისა და დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი";

**4.** სს "საწარმოოუზრუნველყოფას" მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე, წალკის რ-ნის "გუნია-კალას" საბადოს ვულკანური წიდას, როგორც ბეტონის მსუბუქი შემავსებლის მოსაპოვებელი კარიერის მუშა პროექტი";

**5.** საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ცენტრის მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე, "საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის ცენტრის ნარჩენების უტილიზაციისათვის განკუთვნილი მინი-ინსინერატორის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში";

**6.** სს "ავტოგაზის" მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე, გურჯაანის რ-ნის სოფ. ველისციხეში "ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასება";

**7.** სს "ავტოგაზის" მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე, ქ. სამტრედიასთან "ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასება";

**8.** შპს "ქართული მინერალების" მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე ძეგვის ცეოლითების შემცველი ტუფების საბადოს ხეკორძულას უბნის რესურს-აუდიტისა და დამუშავების პროექტი;

**9.** ინდივიდუალური მეწარმე "პაატა შარაშიძეს" მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე ქ. ოზურგეთში თხევადი გაზის ჩამოსასხმელი პუნქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;

**10.** ინდ. მეწარმე "ომარი წერეთელის" მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე ჭიათურის რ-ნში მანგანუმის გამამდიდრებელი მინი წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 6 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი, გულუას ქ. N6**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 6 სექტემბერს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

# ბოლნისის რაიონში არსებული შპს "ტელეკომპანია V არხი" და რაიონის გამგეობა აცხადებს კონკურსს

კონკურსი ცხადდება ტექნიკური პერსონალის, არხის მთავარი რეჟისორის, ჟურნალისტების, ოპერატორებისა და სხვა თანამდებობებზე.

კონკურსის პირობები ტექნიკური პერსონალისათვის

1) კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელია სასურველ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება - არანაკლებ სამი წელი.

გარდა ამისა:

ა) მემონტაჟის ადგილის დაკავების მსურველებს, გარდა ტელევიზიაში მუშაობის სამწლიანი სტაჟისა, სასურველია შეეძლოთ თანამედროვე, ციფრული სამონტაჟო სისტემების (კონკრეტულად კი ე.წ. "ავიდი"-ს პროგრამა) მუშაობა;

ბ) ოპერატორის ადგილის დაკავების მსურველებს, ტელევიზიაში მუშაობის სამწლიანი სტაჟის გარდა, სასურველია შეეძლოთ თანამედროვე, ციფრული კამერებით მუშაობა;

გ) არხის მთავარი რეჟისორის თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელია ტელევიზიაში რეჟისორად მუშაობის გამოცდილება - არანაკლებ 5 წლისა.

კონკურსის პირობები ჟურნალისტებისათვის

1. შპს "ტელეკომპანია V არხზე" ჟურნალისტის თანამდებობის დაკავებისათვის ტელევიზიაში სამწლიანი მუშაობის სტაჟის გარდა მოეთხოვებათ:

ა) კამერის წინ მუშაობის გამოცდილება - სტუდიაში და მის გარეთ. ჟურნალისტის თანამდებობაზე შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მათი ე.წ. "ტელეგენურობა";

ბ) სტუდიური მაკიაჟის (ე.წ. "გრიმი"-ს) გაკეთების ცოდნა;

გ) უახლესი ისტორიიდან (90-იანი წლებიდან დღემდე) მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ცოდნა, მათი ანალიზი და პროფესიული შეფასება;

დ) აუცილებელია რუსული ენის ცოდნა, სასურველია - აზერბაიჯანულის.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) მოკლე ავტობიოგრაფიული მონაცემები (ე.წ. "CV") და სამუშაო ადგილებიდან დახასიათებები. უკიდურეს შემთხვევაში, ბოლო სამუშაო ადგილიდან;

ბ) ჟურნალისტის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველებმა თან უნდა იქონიონ ბოლო პერიოდის ერთ-ერთი პოლიტიკური მოვლენის ანალიზი-შეფასება (მოკლე წერილობითი ფორმით); ერთი ნებისმიერი სიუჟეტის ტექსტი (წერილობითი ფორმით); იმ გადაცემის პროექტი (მოკლედ), რომელსაც გააკეთებენ, შესაძლებლობა რომ მისცემოდათ (წერილობით). იგივე უნდა დაურთონ მოკლე ავტობიოგრაფიულ მონაცემებს (ე.წ. "CV") საბუთების წარმოდგენისას ერთი ეგზემპლარი.

სახელფასო სარგო შეთანხმდება ყოველ კონკრეტულ სამსახურში დაქირავებულ თანამშრომელთან.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს.

საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე.

მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის №115, საინფორმაციო ცენტრი, მე-2 სართული.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელ.: 899 30 77 96, 899 94 94 41.

რკინიგზის საავადმყოფოს

## სამედიცინო კოლეჯი

აცხადებს მიღებას:

1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია;
სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.
აღსანიშნავია:

**სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში 10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.**

გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**

მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524






# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ხონი-მათხოჯი-მარტვილის საავტომობილო გზის კმ.11-კმ.15 მონაკვეთის (ლოტი-3) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 8 აგვისტოს $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 9 აგვისტოს $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 1 |
| 2 | ავტოგუდრონატორი 7000 ლ | 1 |
| 3 | ამწე ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 4 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 5 | ელექტროვიბრატორი | 1 |
| 6 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 7 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 8 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 9 | ასფალტდამგები | 1 |
| 10 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 11 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 12 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 13 | საბულ-ამწე მანქანა | 1 |
| 14 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 15 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 16 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 10 |
| 17 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 18 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

